საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 4 23 02833260

28/09/2023

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

2023 წლის № 6027/3-81/23, № 6536/3-81/23, № 6018/3-81/23 და № 6534/3-81/23 წერილების პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს, ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური მოვლენის ფაქტთან დაკავშირებით, ამავე დეპარტამენტის ონის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო იმავე დღეს, სისხლის სამართლის №059030823001 საქმეზე. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 და 240-ე მუხლის მე-2 ნაწილებით.

აქვე, გაცნობებთ, რომ 2023 წლის 22 სექტემბრის მდგომარეობით, აღნიშნულ საქმეზე ჩატარებულ იქნა 1150-ზე მეტი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება: მოწმის სახით გამოკითხულ იქნენ საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები, მათ შორის, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები, დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი, უშუალოდ სტიქიის არეალი. სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია/დოკუმენტაცია. დაზარალებულების უფლებამონაცვლეებად ცნობილი იქნა ყველა გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრი, დანიშნულ იქნა სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური (დნმ), ეკოლოგიური და სხვა სახის ექსპერტიზები.

ამჟამად, სისხლის სამართლის № 059030823001 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და ინტენსიურ რეჟიმში ტარდება საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან, ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაკარგული იყვნენ ადამიანები, სამინისტრომ გამოძიება დაიწყო აღნიშნულ ფაქტზე. სახელმწიფო ვალდებულია, გამოიძიოს, რამ გამოიწვია ადამიანების გარდაცვალება და შესაბამისად, სამინისტროს მიერ გამოძიების დაწყება განხორციელდა კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურატურა.

აქვე, გაცნობებთ, რომ გამოძიების მიმდინარეობისას, თუ გამოიკვეთა კონკრეტული სამოხელეო ან სხვა კატეგორიის დანაშაულის ნიშნები, რომლის გამოძიებაც არ წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნება უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე